ცენტრალური აზიის რეგიონის ენერგო-პოლიტიკა რუსეთ-ჩინეთთან მიმართებაში

ეკატერინე მანაგაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო

უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პოლიტიკის მეცნიერება (საერთაშორისო ურთიერთობები)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ფავლენიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

განაცხადი

“როგორც წარმოდგენილი სმაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორიების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”

ეკატირინე მანაგაძე

26.06.2016

მადლობა

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩემი ნაშრომის აკადემიურ ხელმძღვანელს, ასოცირებულ პროფესორს, ქალბატონ ნინო ფავლენიშვილს. მან საკუთარი რჩევებით სწორი მიმართულებებით, სხვადასხვა შემოთავაზებული წინადადებებით, კრიტიკული მოსაზრებებით და წყაროების მოძიებით მნიშვნელოვანი დახმარება აღმომიჩინა კვლევის ყველა ეტაპზე.

აგრეთვე მადლობას ვუხდი პროფესორს ბატონ მურმან მარგველაშვილს საინტერესო რჩევებისა და შეხედულებების გაზიარებისათვის .

აბსტრაქტი

დღესდღეობით, ენერგოუსაფრთხოება მნიშვნელოვანია იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც ენერგორესურსებს ფლობენ და, შესაბამისად, სჭირდებათ ისეთი ენერგო პოლიტიკის შემუშავება, რაც მათ ენერგო უსაფრთხოებას უზრუნველყოფს. განსაკუთრებით ეს ეხება ისეთ ქვეყნებს, რომლებიც ერთიანდებიან ცენტრალური აზიის რეგიონში, ვინაიდან ორმაგად უწევთ ფიქრი, დააბალანსონ ურთიერთობები ორ დიდ სახელმწიფოსთან - რუსეთთან და ჩინეთთან.

ნაშრომი იკვლევს რუსეთ-ჩინეთის ენერგოპოლიტიკას, ინტერესთა თანხვედრას და დაპირისპირებას ამ რეგიონთან მიმართებაში. რაც თავისთვად გავლენას ახდენს ცენტრალური აზიის ენერგოუსაფრთხოებაზე.

დასმული ჰიპოთეზა ეყრდნობა ნეორეალიზმისა და ნეოლიბერალიზმის თეორიებს, იმისათვის რომ ახსნას, როგორც რუსეთისა და ჩინეთის ქმედებები აღნიშნულ რეგიონთან მიმართებაში, ასევე ცენტრალური აზიის ქვეყნების ენერგოპოლიტიკა ამ ორი გიგანტი მეზობელის საგარეო ვექტორების გათვალისწინებით.

თვისებრივი კვლევის საშუალებით აღვწერ დამოკიდებულსა და დამოუკიდებელ ცვლადებს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირს, რასაც უფრო მეტად გაამყარებს კონტენტ ანალიზისა და პროცესის მიყოლის (process tracing) მეთოდები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ენერგო უსაფრთხოება, ენერგო პოლიტიკა.

Abstract

Nowadays, energy security is an important policy issue for those countries that possess energy resources. Therefore, these countries need to work out such a policy that will guarantee their energy security along with state sacurity. It shouls concern, the countries, especially those that are located in the region of Central Asia, as they have to consider a lot about balancing their relationship with neighbouring two giants– Russia and China.

The present work examines energy policy of Russia and China, confrontation and mutual assent of own interests in the region, which on the other hand has an impact on the security of energyresources in Central Asian states.

In order to explain the conduct of Russia and China in the region, as well as the energy policy of Central Asian countries with reference to the foreign policy of their big neighbors,the hypothesis is elaborated on the gounds of the theories of neorealism and neoliberalism.

By employing qualitative analysis the work describes causal relationship between dependent and independent variables, the demonstarion is reinforced with applicaiton of content analysis and process tracing methods.

Key words: *Energy security, Energy policy*